„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. ბვეტაძე
„23“ 02 2024 წ.

საქართველოს სენიორთა ჩემპიონატი
15 - 22 მარტი, 2024 წ.
ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 29

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**1. ორგანიზატორი:**
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

**2. ღონისძიების მართვა:**
განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

**3. სათამაშო წესები:**
3.1. დროის კონტროლი: 60 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.
3.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად.
3.3. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
3.4. დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

**4. მონაწილენი და რეგისტრაცია:**
4.1. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი (**დანართი 1**) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA
4.2. ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 1975 წლის 1 იანვრამდე დაბადებულ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრ კაცებს და ქალებს.
4.3. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/hMNPWcgmAEqY2AE97 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ პირადობის მოწმობის ასლი.
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 13 მარტი 18:00 სათი.
რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
4.4. სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

**5. თაი – ბრეიქი:**
ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

**6. ტურნირის განრიგი:**

| ტური | რიცხვი | საათი |
|---|---|---|
| ჩამოსვლის დღე | 15 მარტი | |
| I ტურის კენჭისყრა | 16 მარტი | 12:00 |
| გახსნა | | 14:45 |
| I ტური | | 15:00 |
| II ტური | 17 მარტი | 15:00 |
| III ტური | 18 მარტი | 15:00 |
| IV ტური | 19 მარტი | 15:00 |
| V ტური | 20 მარტი | 15:00 |
| VI ტური | 21 მარტი | 15:00 |
| VII ტური | 22 მარტი | 15:00 |
| დახურვა | 22 მარტი | 18:00 |

**7. პრიზები:** საპრიზო ფონდია 2500 ლარი.

| ადგილი | ღია |
|---|---|
| 1 | 800 |
| 2 | 600 |
| 3 | 400 |

- ქალთა შორის საუკეთესო შედეგის მქონე მოჭადრაკეს გადაეცემა ფულადი პრიზი - 700 ლარი;
- თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა;
- თუ ქალი მოჭადრაკე მოიპოვებს 2 პრიზს როგორც ღია, ასევე ქალთა კატეგორიაში, მაშინ მას აქვს ორივე პრიზის აღების უფლება;
- პრიზები იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

**8. დაჯილდოება:**

- 1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- 2-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- 1-3 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს მიენიჭებათ სპორტის ეროვნული ოსტატის წოდება.

**9. საერთო წესები:**

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

**10. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:**

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი